ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში“ განხორციელებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის

აუდიტორული ანგარიში

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

ივნისი 2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....3

ა. ზოგადი ნაწილი.....3

ბ. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი საბართლებრივი აქტები.....3

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები.....4

3. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.....4

4. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, ფულადი ანგარიშების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.....6

5. ძირითადი რისკები 9

6. რეკომენდაციები 9

პასუხისმგებელი პირები.....10

ხელმოწერები.....10

1. შესავალი

ა. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი".

აუდიტის ჩატარების პერიოდი - 23.05.2022 - 27.06.2022 წ.წ.

შიდა აუდიტის სახე: ფინანსური და შესაბამისობის.

შიდა აუდიტის ამოცანა: ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" ფულადი სახსრების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება. ცენტრის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, საკანცელარიო საქმისწარმოების, სამივლინებო ხარჯების, ხელშეკრულებების, საკადრო საქმიანობის კანონთან შესაბამისობის შემოწმება-შესწავლა.

იურიდიული პირის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა კონტროლის სისტემის სწორად განხორციელებაზე, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას, განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან და სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა აუდიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე. ანგარიშში ძირითადად ასახულია ის შენიშვნები, ხარვეზები და რისკები, რომლებიც გამოიკვეთა ობიექტის შემოწმებისას.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის [redacted] და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის [redacted] შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის [redacted] მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა" და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების შესაბამისად, ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში" ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება. შემოწმებას ესწრებოდნენ და განმარტებებს იძლეოდნენ: ცენტრის დირექტორი [redacted] ბუღალტრები: [redacted] და [redacted] წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ბ. შესამოწმებელ პერიოდში ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

ცენტრი შეიქმნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 04.04.2018 წ. №49 578 ბრძანების საფუძველზე 3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის: „ხარაგაულის სპორტის განვითარების და მართვის მუნიციპალური ცენტრის", „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009" და „ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის" რეორგანიზაციის (ერთმანეთთან შერწყმის) შედეგად. აღნიშნული ორგანიზაცია შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ იქნა შემოწმებული და ანგარიშში ასახული აღმოჩენები წინა შემოწმების შემდგომი პერიოდის მომცველი იქნება. კერძოდ, შემოწმდა ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"-ს საქმიანობა 2015 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 01 აპრილამდე პერიოდი და შედგენილი იქნა შესაბამისი აუდიტორული ანგარიში.

ობიექტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შტამპი, ბეჭედი, საბანკო ანგარიში და სხვა რეკვიზიტები. ის შექმნილია განუსაზღვრელი ვადით და ფუნქციონირებს თავისი წესდების შესაბამისად. მას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი. ცენტრის საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს შეიმუშავებს დირექტორი და შესათანხმებლად და დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

ცენტრის სექტორებია: სპორტის სექტორი, შიდა ტურიზის განვითარების სექტორი, საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009".

ცენტრის დირექტორად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 10.04.2018წ. №49 608 ბრძანებით დაინიშნა [redacted] ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 16.05.2022 წ №ბ68.682213623 ბრძანებით [redacted] გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ცენტრის დირექტორად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 16.05.2022წ №ბ68.682213624 ბრძანებით დაინიშნა [redacted]

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს" საოფისე ფართი გადაცემული აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისგან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით.

ცენტრის საკანცელარიო საქმისწარმოებაში არსებობს ხარვეზები, კერძოდ, არ არის შედგენილი თანამშრომლების მივლინებიდან და შვებულებიდან დაბრუნების შესახებ ბრძანებები. 2019 წლის 12 თებერვალიდან 17 მარტამდე [redacted] იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცლზე. ბრძანება დაწერილია მისი ავადმყოფობის შესახებ 2019 წლის 20 მარტს, ბრძანება დაწერილი უნდა ყოფილიყო 2019 წლის 12 თებერვალს. ასევე გვიან არის დაწერილი ბრძანება 04 აპრილს, როდესაც დაწერილი უნადა ყოფილიყო 18 მარტს, [redacted] იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე 2019 წლის 18 მარტიდან 27 მარტამდე პერიოდში. ორივე შემთხვევაში არ არის დაწერილი ბრძანებები სამსახურში გამოცხადების შესახებ.

3. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2018 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებულია 53317 ლარის შესყიდვა, ხელშეკრულებები გაფორმდა 52086 ლარის შესყიდვაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 47138 ლარის მომსახურება; 2019 წლის შესყიდვების გეგმით - 53562 ლარის შესყიდვა, ხელშეკრულებები გაფორმდა 52975 ლარის შესყიდვაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 49602 ლარის მომსახურება; 2020 წლის შესყიდვების გეგმით - 16555 ლარის შესყიდვა, ხელშეკრულებები გაფორმდა 12047 ლარის შესყიდვაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 12047 ლარის მომსახურება; 2021 წლის შესყიდვების გეგმით - 23768 ლარის შესყიდვა, ხელშეკრულებები გაფორმდა 24023 ლარის შესყიდვაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 23817 ლარის მომსახურება;

დაგვიანებით არის ატვირთული შესყიდვების გეგმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2020 და 2021 წლების: ერთი ატვირთულია 20,01,2020 წელს , ხოლო მეორე 18,12,2020 წელს.

ცენტრის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებზე და მიღება ჩაბარების აქტებზე არ არის მითითებული გაფორმების თარიღი. შპს „ცხოველთა მომსახურების ცენტრთან" 2018-2019 წლებში დადებულ 4 (ოთხი) ხელშეკრულებებზე ხელს აწერს ნდობით აღჭურვილი პირი, მინდობილობა არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ასევე არ არის ატვირთული მინდობილობა ი.მ. „[redacted] 2019-2020 წლებში დადებულ 11 (თერთმეტი) ხელშეკრულებაზე.

დაგვიანებით არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2021 წლის 03 აგვისტოს №42 ხელშეკრულება, ატვირთულია 2021 წლის 16 აგვისტოს, ატვირთვა უნდა მომხდარიყო 10 (ათი) დღის ფარგლებში. ამ ქმედებით დარღვევულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

2018 წელს ცენტრმა 10556 (ათი ათას ხუთას ორმოცდათექვსმეტი) ლარის ტრანსპორტის მომსახურებაზე გააფორმა ხელშეკრულებები: აქედან საკუთარი შემოსავლებიდან გაფორმებულია 2166 ლარზე, ბიუჯეტის სახსრებით კი - 8390 ლარზე. ტრანსპორტის მომსახურებაზე 19 ივნისამდე ყველა ხელშეკრულება დადებულია გამარტივებული შესყიდვით. 19 ივნისს დადებულია ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერით გამოვლენილ ინდ. მეწარმესთან 2950 (ორი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარზე, ამ ქმედებით დარღვევულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის მოთხოვნები. (გამარტივებული შესყიდვა, კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში, შესაძლებელია: 5000 (ხუთი ათას) ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას).

4. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ქონების აღრიცხვის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების, ფინანსური ანგარიშგების მოამზადების, ძირითადი აქტივების, ფულადი ანგარიშების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან სუბსიდიის სახით 2018 წელს ჩაერიცხა 280641 ლარი, 2019 წელს - 396416 ლარი, 2020 წელს - 335512 ლარი, 2021 წელს - 373955 ლარი.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს" მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები: 2018 წელში - 48893 ლარი, 2019 წელში - 61599 ლარი, 2020 წელში - 2610 ლარი, 2021 წელში - 9725 ლარი. შემოსავლები და ხარჯები ნაწარმოებია ხაზინის მეშვეობით.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. ანგარიშგება ნაწარმოებია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც ამ დროისათვის ძალადაკარგულია. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის ბრძანება №108-ით, 2021 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოები უნდა იყოს „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

ხელმძღვანელის ცვლილების შემდეგ არ არის მატერიალური ფასეულობების გადაბარების აქტი შედგენილი. 2018-2019 წლებში ჩატარებულია ინვენტარიზაცია, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებას. არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია 2020-2021 წლებში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით დამტკიცებული თანამდებობები რიგ შემთხვევაში არ ედრება სახელფასო უწყისში ნაჩვენებ თანამდებობებს.

მერის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმის მიხედვით ზოგიერთ მუხლში გადახარჯვაა: 2018 წელს შრომის ანაზღაურების მუხლში 16525 ლარი, მივლინებებში - 473 ლარი, ოფისის ხარჯებში - 5149 ლარი, კვების ხარჯი - 2468 ლარი, სამედიცინო ხარჯებში - 3140 ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 6065 ლარი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი - 3164 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 380 ლარი, სხვა ხარჯები - 225 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში - 6276 ლარი. 2019 წელს შრომის ანაზღაურების მუხლში 26175 ლარი, მივლინებებში - 1021 ლარი, ოფისის ხარჯებში - 1630 ლარი, კვების ხარჯებში - 5370 ლარი, სამედიცინო ხარჯებში - 3317 ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და

პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 14165 ლარი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი - 2944 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 900 ლარი, სხვა ხარჯები - 11105 ლარი. 2020 წელს ოფისის ხარჯებში - 880 ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 1716 ლარი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი - 14 ლარი. 2021 წელს ოფისის ხარჯებში - 1150 ლარი, სამედიცინო ხარჯებში - 78 ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 5375 ლარი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი - 1140 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 150 ლარი.

გადახარჯვები დაბალანსებულია საკუთარი შემოსავლების ხარჯზე.

გახარჯული სახსრები და თითოეული სახის ხარჯის პროცენტული მოცულობა მთლიან ხარჯთან მიმართებაში, წლების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილ №1 და ცხრილ №2-ში.

	ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"				
	გაწეული ხარჯების შესახებ				
		ცხრილი № 1			
		2018 წ		2019 წ	
		თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%
1	შრომის ანაზღაურება	246707	76.03	339385	73.3
2	მივლინება ქვეყნის შიგნით	2986	0.92	5842	1.26
3	საკანცელარიო მასალების შეძენა	1133	0.35	787	0.17
4	მცირეფასიანი საოფისე ტექნ.შეძენა და დამონტაჟება	1130	0.35	695	0.15
5	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟება	3970	1.22	2134	0.46
6	სანიტარული საგნებისა და მასალების შეძენა	343	0.11	286	0.06
7	შენობა ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი	2327	0.72	0	0
8	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის და მიმდინარე რემონტის ხარჯი	930	0.29	60	0.01
9	კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურურების ხარჯები	2066	0.64	2802	0.61
10	კომუნალური ხარჯები	5237	1.61	9427	2.04

11	წარმომადგენლობითი ხარჯი	600	0.18	820	0.18
12	კვების ხარჯი	2568	0.79	7576	1.64
13	სამედიცინო ხარჯი	3440	1.06	3659	0.79
14	რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	15119	4.66	21304	4.6
15	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	9894	3.05	7779	1.68
16	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	8594	2.65	13317	2.87
17	თანამშრომლებზე გაწეული სოციალური დახმარება	627	0.19	697	0.15
18	სხვა ხარჯები	10559	3.25	46473	10.03
21	არაფინანსური აქტივების ზრდა	6276	1.93	0	0

	ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"				
	გაწეული ხარჯების შესახებ				
		ცხრილი № 2			
		2020 წ		2021 წ	
		თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%
1	შრომის ანაზღაურება	317488	93.90	339484	88.91
2	მივლინება ქვეყნის შიგნით	510	0.15	1794	0.47
3	საკანცელარიო მასალების შეძენა	210	0.06	419	0.11
4	მცირეფასიანი საოფისე ტექნ.შეძენა და დამონტაჟება	215	0.06	945	0.25
5	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟება	1415	0.42	475	0.12
6	სანიტარული საგნებისა და მასალების შეძენა	283	0.08	1619	0.42
7	შენობა ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი	240	0.07	0	0
8	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის და მიმდინარე რემონტის ხარჯი	0	0	0	0
9	კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურურების ხარჯები	2521	0.75	2315	0.61
10	კომუნალური ხარჯები	6446	1.91	5494	1.44
11	წარმომადგენლობითი ხარჯი	0	0	250	0.06
12	კვების ხარჯი	0	0	0	0
13	სამედიცინო ხარჯი	83	0.02	78	0.02
14	რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	5090	1.51	10612	2.78
15	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	414	0.12	3805	1.00

16	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	1614	0.47	4154	1.09
17	თანამშრომლებზე გაწეული სოციალური დახმარება	1337	0.40	1630	0.43
18	სხვა ხარჯები	256	0.08	8610	2.25
21	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	165	0.04

5. ძირითადი რისკები.

ობიექტის შემონმების შედეგად აღმოჩნდა ფინანსური და შესაბამისობის რისკები, რაც გამომდინარეობს შესყიდვების და ფინანსური ანგარიშგებითი საქმიანობიდან.

6. რეკომენდაციები.

1. უშეცდომოდ უნდა მოხდეს საკანცელარიო საქმისწარმოება.
2. დასაქმებული პირის მივლინებიდან და შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ უნდა დაიწეროს ბრძანებები სამსახურში დაბრუნების შესახებ.
3. უნდა მოხდეს ცენტრის ბუღალტრული აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის ბრძანება №108-ით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.
4. ცენტრის დირექტორის ცვლილების შემდეგ უნდა მოხდეს მატერიალური ფასეულობების გადაბარების აქტის შედგენა ახალ დირექტორთან.
5. უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. უნდა ედრებოდეს დამტკიცებული საშტატო განრიგის თანამდებობები დარიცხულ სახელფასო უწყისებში ნაჩვენებ თანამდებობებს.
7. უდა მოხდეს შესყიდვების წლიური გეგმების დროული ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
8. უნდა მოხდეს ხელშეკრულებებისა და მიღება ჩაბარების აქტების გაფორმება და ატვირთვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. მოხდეს გამარტივებული შესყიდვა, კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში.

შიდა აუდიტის პერიოდში ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში" განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან ყოფილი დირექტორი: [redacted] მთავარი ბუღალტერი - [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: [redacted] [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: [redacted] [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: [redacted] [redacted]